



**ცესკო**  
საქართველოს საარჩევნო  
აღმწინობრივი



პარლამენტის არჩევნები  
2012

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების  
გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული  
საქმიანობების შესახებ**

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

**თბილისი,**

**2012 წ**

# საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები

**წინასაარჩევნო საქმიანობა - არჩევნების ოფიციალურად დანიშვნამდე**

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები**

**სამუშაო ჯგუფის შექმნა**

2012 წლის 17 მაისს, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით, შეზღუდული შესაძლებლობების კატეგორიის ამომრჩევლთა საარჩევნო პროცესში მონაწილეობის გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანს წარმოადგენდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სრულფასოვანი საარჩევნო გარემოს შექმნა, მათი ინფორმირება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით.

**განისაზღვრა სამუშაო ჯგუფის ფუნქციები:**

- 2012წ. სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- სამოქმედო გეგმის მონიტორინგი;
- რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება 2013-14წწ.

**სამუშაო ჯგუფში მონაწილე ორგანიზაციები:**

- ❖ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES);
- ❖ სახალხო დამცველის ოფისი;
- ❖ ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;
- ❖ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ❖ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ❖ ა/ო „კოალიცია სამოქალაქო განვითარებისთვის“;
- ❖ საქართველოს ყრუთა კავშირი;
- ❖ საქართველოს უსინათლოთა კავშირი;
- ❖ კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“;
- ❖ საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- ❖ რადიო „იმედი“;
- ❖ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა 2012 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმით განისაზღვრა შემდეგი ამოცანების მიღწევა:

- ❖ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის საჭიროებების დადგენა;
- ❖ გადაადგილების შეზღუდვის მქონე ამომრჩეველთა ინფორმირება, ადაპტირებული გარემოს შექმნა, მათი საარჩევნო პროცესებში ჩართულობა;
- ❖ სმენადაქვეითებულ ამომრჩეველთა ინფორმირება და მათი საარჩევნო პროცესებში ჩართულობა;
- ❖ უსინათლო ამომრჩევლებისათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნა, მათი ინფორმირება, საარჩევნო პროცესებში ჩართულობა;
- ❖ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა ქცევის ნორმების დაცვის შესახებ ინსტრუქციის მომზადება.

სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა ის საქმიანობები, რომლებიც დასახული მიზნის განხორციელებას შეუწყობდა ხელს. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ დეტალურად გაიწერა შემდეგი აქტივობები:

### ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის:

- საარჩევნო უბნების იდენტიფიცირება და მუდმივი/დროებითი პანდუსების მოწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნამდე ტრანსპორტირების მიზნით, მობილური ჯგუფების შექმნა;
- საინფორმაციო კამპანიის წარმოება და მათი მონაწილეობით ბუკლეტების/ფლაერების გავრცელება.

### სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის:

- წინასაარჩევნო კამპანიის და საინფორმაციო გამოშვებების გაშუქება სურდოთარგმანის (ჟესტური ენა) თანხლებით;
- ცესკოს სარეკლამო რგოლების თარგმნა ჟესტურ ენაზე;
- საუბნო საარჩევნო კომისიებში, ამომრჩევლის კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ პროცედურული ვიდეო რგოლის გავრცელება სურდოთარგმანის თანხლებით.

### უსინათლო ამომრჩევლებისთვის:

- საარჩევნო კოდექსის ბრაილის შრიფტით ბეჭდვა;
- უსინათლო ამომრჩევლებისათვის საინფორმაციო რგოლების განთავსება რადიოში.

## შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებები

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის პროცედურების გამარტივების მიზნით, ცესკომ მიიღო შემდეგი სახის დადგენილებები:

1. „ფიზიკური მდგომარეობის გამო ზოგიერთი ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პროცედურის განსაზღვრის შესახებ“.

მიღებული დადგენილების შესაბამისად, საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები:

- არ გადის მარკირების შემოწმებისა და მარკირების პროცედურას;
- საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“, აკეთებს ჩანაწერს „ფიზიკური მდგომარეობა“ და აღნიშნულს ადასტურებს პირადი ხელმოწერით;
- ამომრჩევლის თანდასწრებით, ბიულეტენს (ბიულეტენებს) სპეციალურ კონვერტში ათავსებს და შემდეგ საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი (გარდა: საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა), რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსებაში.

2. „ფიზიკური მდგომარეობის გამო საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი პარლამენტის ზოგიერთი წევრობის კანდიდატის მიერ საარჩევნო რეგისტრაციასა და რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრის შესახებ“.

მიღებული დადგენილების შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები:

- საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები მის ნაცვლად, მისი თანდასწრებით სააღრიცხვო ბარათს ავსებს, ხელს აწერს და შესაბამის საარჩევნო კომისიაში ერთობლივად წარადგენს მის მიერ არჩეული პირი (გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა და დამკვირვებლისა), რომელიც დაეხმარება მას კანდიდატისათვის განკუთვნილი სააღრიცხვო ბარათის შევსებაში;
- საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები, მის ნაცვლად, თანხმობას არჩევნებში მონაწილეობაზე მისი თანდასწრებით წერს კანდიდატის მიერ არჩეული პირი (საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი), რომელიც დაეხმარება მას კანდიდატისათვის განკუთვნილი თანხმობის დაწერაში;
- საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები, მის ნაცვლად, განცხადებას საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებით კანდიდატის თანდასწრებით წერს მის

მიერ არჩეული პირი (გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა და დამკვირვებლისა), რომელიც დაეხმარება მას განცხადების დაწერასა და შემდგომ შესაბამის საარჩევნო კომისიაში ერთობლივ წარდგენაში;

- საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები, მის ნაცვლად განცხადებას არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის თაობაზე კანდიდატის თანდასწრებით წერს მის მიერ არჩეული პირი (გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა და დამკვირვებლისა), რომელიც დაეხმარება მას განცხადების დაწერასა და შემდგომ შესაბამის საარჩევნო კომისიაში ერთობლივ წარდგენაში.

## შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შეხვედრები

2012 წლის 5 ივნისს, სამუშაო ჯგუფის წევრებმა გამართეს პირველი შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის საჭიროებები.

2012 წლის 14 ივნისს, შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფის წევრებმა განსაზღვრეს სამიზნე ჯგუფები და შეიმუშავეს 2012 წლის სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს განათლების და მეცნიერების და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებისგან გამოთხოვილი იქნა დოკუმენტები ადაპტირებული შენობა-ნაგებობების შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა იდენტიფიცირება საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი იმ საუბნო საარჩევნო კომისიების განთავსების ადგილებთან, (სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები), სადაც მოწყობილია პანდუსები.

**საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალ საზღვრებში (შენობა-ნაგებობები) ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მოწყობილი პანდუსების რაოდენობა:**

<b>№</b>	<b>ოლქის დასახელება</b>	<b>მოწყობილი პანდუსების რაოდენობა</b>
№1	მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№2	ვაკის საოლქო საარჩევნო კომისია	4
№3	საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისია	8
№4	კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№5	ისნის საოლქო საარჩევნო კომისია	6
№6	სამგორის საოლქო საარჩევნო კომისია	3
№7	ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№8	დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№9	ნამალადევის საოლქო საარჩევნო კომისია	3
№10	გლდანის საოლქო საარჩევნო კომისია	2
№11	საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისია	1
№12	გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№13	სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№14	დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისია	0
№15	ლაგოდეხის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№16	ყვარლის საოლქო საარჩევნო კომისია	4

№	ოლქის დასახელება	მოწყობილი პანდუსების რაოდენობა
№17	თელავის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№18	ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№19	თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№20	რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისია	5
№21	გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№22	მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№23	ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№24	დმანისის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№25	წალკის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№26	თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისია	0
№27	მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№28	დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№29	ყაზბეგის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№30	კასპის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№32	გორის საოლქო საარჩევნო კომისია	5
№33	ქარელის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№35	ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№36	ბორჯომის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№37	ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№38	ადიგენის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№39	ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№40	ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№41	ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№43	ონის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№44	ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№45	ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისია	0



№	ოლქის დასახელება	მოწყობილი პანდუსების რაოდენობა
№46	ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№47	მესტიის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№48	ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№49	თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№50	საჩხერის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№51	ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№52	ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№53	ვანის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№54	სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია	11
№55	ხონის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№56	ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისია	2
№57	ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№58	წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისია	1
№59	ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია	10
№60	ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისია	3
№61	ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№62	ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№63	აბაშის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№64	სენაკის საოლქო საარჩევნო კომისია	2
№65	მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№66	ხობის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№67	ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისია	8
№68	წალენჯიხის საოლქო საარჩევნო კომისია	1
№69	ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისია	0
№70	ფოთის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№79	ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია	5

№	ოლქის დასახელება	მოწყობილი პანდუსების რაოდენობა
№80	ქედის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№81	ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისია	6
№82	შუახევის საოლქო საარჩევნო კომისია	0
№83	ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისია	4
№84	ხულოს საოლქო საარჩევნო კომისია	2
<b>სულ</b>	<b>73</b>	<b>108</b>

## საარჩევნო პერიოდი - არჩევნების ოფიციალურად დანიშვნის შემდეგ

### შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შეხვედრები

2012 წლის 29 აგვისტოს გაიმართა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ცესკომ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) ერთად ორგანიზება გაუწია, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრას. შეხვედრაზე ცესკომ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაწოდა ინფორმაცია 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობით დაგეგმილ აქციაში „მე მივდივარ არჩევნებზე“, რომლის მიზანს წარმოადგენდა მოქალაქეთა გააქტიურება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ.

## პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის საჭიროებების დადგენა“

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, არასამთავრობო ორგანიზაციამ კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, განახორციელა პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის საჭიროებების დადგენა“.

განისაზღვრა შემდეგი სამიზნე ჯგუფები:


- ფიზიკური შეზღუდვის მქონე;
- სმენადაქვეითებული;
- უსინათლო.

ჩატარდა გამოკითხვა თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში, კერძოდ: ქვემო ქართლი, კახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-თიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო.

შემუშავდა სპეციალური კითხვარი და განისაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატუსი/მდგომარეობა და არჩევნებში მათი სრულფასოვნად მონაწილეობის საჭიროება;


მიღებული ინფორმაცია დამუშავდა და მომზადდა მონაცემთა ბაზა.

პროექტის შედეგად სულ გადამოწმებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე **8 523** ამომრჩეველი, მათ შორის:




პროექტის შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, გამოვლინდა სხვადასხვა საჭიროებები, კერძოდ:


### ფიზიკური შეზღუდვის მქონე (ეტლით მოსარგებლე) ამომრჩეველთა საჭიროებები




### სმენადაქვევითებულ ამომრჩეველთა საჭიროებები




### უსინათლო ამომრჩეველთა საჭიროებები




შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (ეტლით მოსარგებლე, სმენადაქვეითებული, უსინათლო) ამომრჩეველთა საჭიროებები




ეტლით მოსარგებლეთა გენდერული ბალანსი: 59% ქალი, 41% მამაკაცი



სმენადაქვეითებულ პირთა გენდერული ბალანსი: ქალი 50%, მამაკაცი 50%




უსინათლოთა გენდერული ბალანსი: ქალი 47%, მამაკაცი 53%



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გენდერული ბალანსი პროცენტული მაჩვენებლით: ქალი 46%, მამაკაცი 54%

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა  
გენდერული შემაღენლობა




პროექტი განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფინანსური მხარდაჭერით.




## შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის საარჩევნო უბნების ადაპტირება

პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის საჭიროებების დადგენა“, განხორციელების შედეგად, განისაზღვრა და დამზადდა საარჩევნო უბნებზე ეტლით მოსიარულე ამომრჩევლებისათვის სპეციალური ხმის მიცემის კაბინები.


თბილისის საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი იმ საარჩევნო უბნების რაოდენობა, სადაც განთავსდა ეტლით მოსიარულე ამომრჩევლებისათვის სპეციალური კაბინები:




საქართველოს რეგიონებში არსებულ საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი იმ საარჩევნო უბნების რაოდენობა, სადაც განთავსდა ეტლით მოსიარულე ამომრჩევლებისათვის სპეციალური კაბინები:



საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ქ. თბილისის მერიასთან თანამშრომლობით, თბილისის საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალ უბნებზე მოეწყო 15 მუდმივი პანდუსი, კერძოდ:



2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან თანამშრომლობით საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის უზრუნველყო 12 პორტატული პანდუსის დამზადება. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადმოეცა 4 პორტატული პანდუსი, რომელიც გადანაწილდა სხვადასხვა საარჩევნო უბნებზე.



## საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ინფორმირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა საარჩევნო უბნებზე ქცევის ნორმების შესახებ

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და ცესკოს თანამშრომლობით, მომზადდა ინსტრუქცია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა ქცევის ნორმების დაცვის შესახებ. ქ. თბილისში (ჩუღურეთის ოლქი), რუსთავში, მარნეულში, გორსა და ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, ჩატარდა ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ.

ცესკომ აღნიშნული ინსტრუქციის გავრცელება უზრუნველყო საუბნო საარჩევნო კომისიებში, საქართველოს მასშტაბით.

## შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინფორმირება

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების დადგენის მიზნით, განხორციელებული პროექტის დროს დამზადდა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განთავსდა სოციალური საინფორმაციო ვიდეო რგოლი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების საჭიროებების დადგენის მიზნით პროექტის დაწყების შესახებ;

პროექტის განხორციელების მიზნით, დაიბეჭდა საინფორმაციო ტრიპლეტები. ტრიპლეტები მოსახლეობას დაურიგდა საველე სამუშაოების მიმდინარეობისას ოჯახებში ვიზიტის დროს. ტრიპლეტებში ასახული იყო ინფორმაცია არჩევნებისა და არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობაზე, აგრეთვე პროექტის შესახებ;

მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მე-2 არხის ეთერში ცესკოს სარეკლამო რგოლები განთავსდა სურდოთარგმანის თანხლებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, კვალიფიციურ სუბიექტებს შორის გაიმართა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ორი სატელევიზიო დებატი, რომელიც გაშუქდა სურდოთარგმანის თანხლებით, შემდეგი რეგიონალური ტელევიზიების ეთერში:

- მარნეულის ტელეკომპანიის „მარნეული TV“ ეთერში;
- ბოლნისის ტელეკომპანიის „ბოლნელი“ ეთერში;
- ახალციხის ტელეკომპანიის „მე-9 არხი“ ეთერში;
- ახალქალაქის ტელეკომპანიის „ატვ 12“ ეთერში;
- ნინოწმინდის ტელეკომპანიის „ფარვანა“ ეთერში;
- ლაგოდეხის ტელეკომპანიის „LTV“ ეთერში.

## ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის:

ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლების, მობილური ჯგუფების მიერ მათი საარჩევნო უბნამდე გადაადგილების უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ტელე და რადიო ეთერის საშუალებით, ასევე მოქალაქეებს ინფორმაციის მიღება შეეძლოთ ცესკოს ცხელი ხაზის საშუალებით.

## სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისათვის:

საუბნო საარჩევნო კომისიებში დარიგდა პორტატული კომპიუტერები, სადაც გავრცელდა ამომრჩევლის კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ პროცედურული ვიდეო რგოლი სურდოთარგმანის თანხლებით.

## უსინათლო ამომრჩევლებისათვის:

საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით უსინათლო ამომრჩევლებისათვის საინფორმაციო რგოლები განთავსდა რადიოში.